

საზოგადოებრივი საბჭოს წევრებმა თავმჯდომარედ ეთერ მათურელი აირჩიეს და სამოქმედო გეგმა განსაზღვრეს

საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებრივი საბჭოს წევრთა მორიგი შეხვედრა 11 ნოემბერს გაიმართა. სხდომაზე შეკრებილ საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საბჭოს ერთერთი წევრი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე ეთერ მათურელი, ხოლო საბჭოს აღმასრულებელ მდივნად აირჩიეს ჟურნალისტი, თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი, საზოგადოებრივი საბჭოს წევრი ნინო კაკულია, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში კონსულტანტობასაც შეითავსებს.

საბჭოს სხდომაზე განისაზღვრა საბჭოს წევრთა სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც, უახლოეს პერიოდში, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასული გადაცემების მონიტორინგის სხვადასხვა ჯგუფში გაწევრიანებული საბჭოს წევრები შესაბამის რეკომენდაციებს შეიმუშავებენ და მიაწვდიან მათ სამურვეო საბჭოს.

ცნობისთვის: ამ ეტაპისთვის შექმნილია საინფორმაციო გამოშვებისა და პოლიტიკური თოქ-შოუების მონიტორინგის ჯგუფი; სოციალურ საკითხებზე მომზადებული გადაცემების მონიტორინგის ჯგუფი; ეკონომიკურ საკითხებზე მომზადებული გადაცემების მონიტორინგის ჯგუფი; სამართლებრივ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომზადებული გადაცემების მონიტორინგის ჯგუფი; განათლებისა და მეცნიერების საკითხებზე მომზადებული გადაცემების მონიტორინგის ჯგუფი; ახალგაზრდული პროგრამებისა და საბავშვო გადაცემების მონიტორინგის ჯგუფი; სპორტისა და კულტურის საკითხებზე მომზადებული გადაცემების მონიტორინგის ჯგუფი და სატელევიზიო გადაცემების პროექტების მონიტორინგის ჯგუფი. თითოეულ ჯგუფში გაწევრიანებული საბჭოს წევრები უკვე შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას.

სხდომაზე საბჭოს წევრებმა დასვეს საკითხი საზოგადოებრივ მაუწყებელზე თვეში ერთხელ საბჭოს თავმჯდომარისა და წევრებისთვის საეთერო დროისა და ჟურნალ „მაუწყებელში“ სპეციალური რუბრიკის გამოყოფის თაობაზე მათი საშუალებით საბჭოს წევრთა რეკომენდაციების გახმოვანების მიზნით.

საზოგადოებრივი საბჭოს წევრები კონკრეტული გეგმებისა და შემუშავებული რეკომენდაციების წარდგენის მიზნით, უახლოეს მომავალში, თხოვნით მიმართავენ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის გამართვის თაობაზე.